№ 11 იანვარი 16, ხუთშაბათი. 1886 იანვარი 16, ხუთშაბათი № 11.

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზროვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონის რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„КАВКАЗЪ“
на 1886 годъ (41 годъ изданія).

Въ 1886 году газета «КАВКАЗЪ» будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.
съ достакою въ тифлисѣ:

На годъ . . .	11 р. 50 к.
› полгода . . .	6 р. — ›
› 3 мѣсяца . .	3 р. 50 к.
› 1 мѣсяцъ. . .	1 р. 50 к

съ пересылкою

по имперіи	по почтовому союзу
13 р.	18 р. 40 к.
7 р.	10 р. — ›
4 р.	6 р. — ›
1 р. 75 к. . . .	2 р. — ›

подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногор. адресовать: *Тифлисъ. Въ Редакцію газеты «КАВКАЗЪ».*

ტფილისი, 16 იანვარს.

დღე-დღეზედ მოველოდებით დეპეშას, რომ ინგლისის პარლამენტი შეიყრება და საქმეთა ჩხრეკას შეუდგება. ამ ახალთა დეპუტატთა პალატას მთელი ქვეყანა შეჰყურებს ჯერ იმის გამო, რომ შეიკრიბება პარლამენტი თუ არა, მაშინვე პირველ საქმის გაჩხრეკაზედვე გამოჩნდება თავს დაიჭერს სალიუსბერის სამინისტრო, თუ კონსერვატორთა მეთაური გადადგება თავისის მომხრეებით სამინისტროდამ და ადგილს დაუცლის ლიბერალების სახელოვანს წინამძღვარს გლადსტონს. ესე იქნება, თუ არა, მაინც და მაინც ეხლანდელს პარლამენტს ინგლისისას ერთი დიდი საქმე წინ უდევს გასაჩხრეკად და გასათავებლად. ეგ ირლანდიის საქმეა, რომელსაც დღეს ინგლისელები «ირლანდიის ჭაპან-წყვეტას» ეძახიან. აი მიზეზი ქვეყნის ყურადღების მიქცევისა დღევანდელ ინგლისის პარლამენტზედ.

ინგლისის მომავალი ბედი, მისი ძლიერება ამა საქმის სამართლიანად და საბუთიანად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული. რადგანაც ესეა და რადგანაც ეხლანდელს ევროპაში იმისთანა ვითარებაა პოლიტიკისა, რომ ზოგისათვის საჭიროა ინგლისი ძლიერი იყოს და ზოგისათვის სანატრელია ინგლისი იმოდენად სუსტი იყოს, რომ მასზედ იმედი არავინ იქონიოს. მაშასადამე ცხადია, იმ შინაურს საქმეს ინგლისის, რომელსაც ირლანდიის საქმეს ეძახიან, რად მიუპყრია ასეთი ყურადღება ევროპისა. თუ კარგად გადაწყდება ეს საქმე, ინგლისის მოიმედეთ იმედი გაუზვიადდებათ და თუ ცუდად—ამ იმედს, ზოგიერთების სასიხარულოდ, ფრთები მოეკვეცება.

სული და გული ამა საქმისა დღეს თითქმის ერთის კაცის ხელშია. იგი ეს ათი წელიწადია რაც გამოვიდა მოედანზედ და დაუცხრომელად იღვწის ირლანდიისათვის გულ-ახდილად და გულ-დაგულ.

იგი კაცი სახელ-განთქმული პარნელია. საკვირველი ის არის, რომ ეგ მეთაური ირლანდიის პატრიოტებისა, ეგ დაუძინებელი მოსარჩლე და თავ-გამომეტებული მოყვარე ეგრედ წოდებულის «ზურმუხტის კუნძულისა», თვითონ ირლანდიელი არ არის. მამის მხრით იგი ერთის ძველის ინგლისის ოჯახის შვილია. მისი წინაპარი ინგლისელი ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში გადასახლებულა ირლანდიაში ჩეიშერიდამ, იქ ბინა მოუკიდებია სამუდამოდ და ეგრედ წოდებულის «ანგლიკანურის ეკლესიის» აღსაარება არ დაუთმია. ამ სახით პარნელი სარწმუნოებითაც არ ჩაითვლება ირლანდიელად, იმიტომ—რომ ირლანდიელნი კათოლიკები არიან. დედაც პარნელისა ინგლისელია, ჩამომავალი ტიუდორების გვარეულობიდამ. ერთი ამ პარლენის ოჯახის შვილი ჰენრიხი სამხედრო მინისტრათ იყო 1830 წ. გრეის სამინისტროში. პარნელი არამც თუ მოდგმით, ხასიათიდაც სულ არა ჰგავს ირლანდიელსა. იგი ისე გულ-ფიცხი და ფანტაზიის ამყოლი კაცი არ არის, როგორც მკვიდრნი «ზურმუხტის კუნძულისანი». იგი თავ-დაჭერილი, ფრთხილი, საქმიანი კაცია. მისი სიტყვა და ქცევა დინჯია, აუჩქარებელი და წინ-დახედული. მოუფიქრებლად გულთა თქმას არ გაეტაცინება ხოლმე არას დროს. მაშინაც, როცა ინგლისსა ჰკიცხავს, უსამართლობას ამხელს, სიტყვა მისი მშვიდობიანია, დინჯია, თითქო უბრალო რამ საგანზედ ლაპარაკობსო. როცა პარლამენტში კამათობა აუტყდება ხოლმე, აქედ-იქიდამ წეწვა-გლეჯით მიჰსცვივდებიან, იგი არას დროს არ აჩქარდება და თავის თავს ჰბატონობს და იმორჩილებს. ამბობენ, სწორედ ამისთანა ხასიათმა ჰქმნაო, რომ იგი უცხო კაცი ირლანდიელთათვის ასე შეიყვარეს ირლანდიელებმა და პატივსა ჰსცემენო. დღეს პარლამენტში სულ 86 დეპუტატია ირლანდიიდამ და ეს 86 კაცი, როგორც ერთი კაცი, ისე ემორჩილება თურმე პარნელსა და უიმისოდ ფეხსაც არ გადაჰსდგმენ.

რაც დიდის ორატორის თვისებას შეადგენს, მაგალითად, ვნებათ-მღელვარება, აღფრთოვანებული და გულის გამტაცი სიტყვა, თვალ-ტანადობის რიხი—ყოველი ეს აკლია ამ «მშრალად მეტყველს ადვოკატს ირლანდიისას». საკვირველია, პარნელი, რომელიც თვით მთელის თავის ოჯახობით ანგლიკანურს ეკლესიას ეკუთვნის, რომელიც მამა-პაპით ინგლისელია, ათი წელიწადია დაუღალავად იღვწის ირლანდია კათოლიკეთა ეკკლესიისათვის. ირლანდია მისი მადლობელი უნდა იყოს, რომ დაიდვა სახელოვანი კანონი გლადსტონისა შესახებ მიწათ-მფლობელობის ირლანდიაში, მისი მადლობელი უნდა იყოს, თუ რომ ირლანდიის კათოლიკეთა ეკკლესიას რაიმე შეღავათი და პატივი მიეცა ირლანდიაში. დღესაც იმისი მადლობელია, რომ ირლანდიის საქმე ფეხზედ წამოყენებულია.

ამისთანაა ის კაცი, რომელიც ამ ამ ახლო ხანებში, უეჭველია, დიდს როლს ითამაშებს ინგლისში.

დეპეშა

იანვრის 14.

პეტერბურგი. დიდი თავადი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე დღეს პარიჟში წავიდა თავის მეუღლით.

ფელეტონი

ოცის წლის წინად.

(შემდეგი *)

III

(ძველის მამასახლისის ნაამბობი)

—

მესამე დღეს დილით ადრე მიველი სოფლის კანცელარიაში, კისერზე ძეწკვი მქონდა ჩამოგდებული; მამასახლისობის ცინცხალი ყვითელი მენდალი გულზედ მეკიდა და ზედ ხშირად ვიხედებოდი. ჩემი «პოპოშნიკები»-ც გამოცხადდენ.

მე მდივან-ბეგურის მედიდურობით გადაველე იმათ თვალი, მწერალს ხელი ჩამოვართვი. შენ იცი, კარგის ხელით და გამოთქმით როგორ მასახელებ; ჩვენმა ბარათებმა ქვები უნდა დახეთქოს მეთქი.

—ამ ჩემს კისერზე იყოს; შენ მხოლოდ მარჯვედ იყავიო. თვალი მიქნია და თითებში გააცმაცურა. მივხვდი, რომ წითლიან-ცისფრიანებზე გადმომკრა და მეც თვალი ვუქნიე. ამ დროს ერთი კივილ-ჩხივილი შემომესმა. გამოვვარდი გარედ და შევხედე: ერთი მოხუცებული დედა-კაცი წელში მობღუნძულა, ხელში უშველებელი ქვა უჭირავს, მძიმეთ მოდის და მოჩხივის. დამინახა თუ არა, იქვე დავარდა მიწაზე და ასე შემომჩივლა: მიშველე, მამასახლისო, მომკლეს, მომკლეს; ჩემი აშარი რძალი დამხვდა ორღობეში და ეს უშველებელი ქვა მზუნზლა წელზე. შენ გენაცვალე, მამასახლისო, მომარჩინე იმ წყეულისაგან: ჯერ შვილი გამიბრიყვა, წამართვა და ახლა მე მიპირობს მოკვლას.

მე მდივან-ბეგივით ხელები უკან დავიდევი, ერთი ლაზათიანი გავიჯგიმე, თვალები გადმოვპრაწე, ცერზე შემოვტრიალდი და მივეცი ბრძანება ერთს «პოპოშნიკთაგანს». ახლავე წადი, შემიტყვე ყოველივე გარემოება და მომახსენე. წადი, დედაო, წაჰყევი ამას, ნუ გეშინია, მე მოვთოკავ იმ შენს რძალს.

გულში გავივლე, აი, ეს კარგი შემთხვევაა-მეთქი. ეს პატარძალი ის კაპუეტი ქალი იყო, რომელზედაც მე დიდი ხანია თვალები მრჩებოდა. მწერალს რომ შევხედე, იმანაც თვალი მიქნია. ვთქვი, სწორედ ამასაც თვალში წყალი ჰქონია მეთქი; ცოტა არ იყოს მეწყინა და თვალი მოვარიდე, ვითამც არ შემინიშნავს...

ეს მოხუცებული დედა-კაცი რომ გავისტუმრე, შევხედე, იასაულს კანვერტი მოაქვს. ტანში გამაციეა, ვინ იცის, რა სწერია მეთქი. მე არც რუსულის კითხვისა და წერისა, არც ქართულის არა გამეგებოდა-რა.

იასაულს ჩამოვართვი კანვერტი და ძალა-უნებურის ღიმილით გადავეცი მწერალს. იმან გახსნა, ამოიკითხა: უეზდის ნაჩალნიკი გიბარებს: ახლავე აქ გამოცხადდიო. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო ამიბუძგა. თმა წარმომიდგა თავში, ვაი თუ ის შეუტყვია, რომ პატარძალზე თვალები მრჩება და ბოროტ-განზრახულებისათვის დამსაჯოს მეთქი. უფრო იმისი მეშინოდა, რომ ჩვენს უეზდის ნაჩალნიკს ქართული არ ესმოდა და მე რუსული. რომ მკითხოს რა ვუპასუხო მეთქი.

«ზდრასტი, ზნაკომ, გაგიმარჯოს,
კუდა იდოშ, საითკენა»-ს

თუ ვეტყოდი, თორემ სხვა არა ვიცოდი-რა. ვთქვი, თუ ბევრი დამირუსულა და საშველი აღარ მომცა, გავუბედავ კიდევ, «ნიჩტო, ნიკაკოი»? ნუ გამიწყრები შენი მუხლის ჭირიმე, მეტი არ ვიცი მეთქი. ესეები რომ მოვიფიქრე, მერე შევჯექი ცხენზე და გამოვეშურე.

რაც უფრო ვუახლოვდებოდი ქ...ს, თან-და-თან მოვიწყინე და თავი დავკიდე. უეზდის უპრავლენიასთან რომ მივედი, ისეთი ვიყავი, დანა რომ გეკრა, ცვარი სისხლი არ გამომდინდებოდა. ვიცოდი, უეზდის ნაჩალნიკი ახირებული კაცი იყო და ამისი უფრო მეშინოდა.

იმ დროს ქ...ს გუბერნიაში გრაფი ლ...ვი ბძანდებოდა ვოენი ღრუბენატორათ. «შტასკები» არ უყვარდა, რომელს პოლკშიაც კი შეამჩნევდა, მაღალს და წარმოსადგენს კაცს განიერის მხარ-ბეჭებით და დიდს ულვაშებიანს, მაშინვე პოლკიდან გამოიყვანდა და უეზდის ნაჩალნიკობას მისცემდა. ჩვენი ნაჩალნიკი ერევნის პოლკიდან იყო დაბარებული, სიმაღლე თითქმის საჟენი ჰქონდა და ულვაშებს ყურებზე იგრეხდა. ასეთი ხმა ჰქონდა, ერთი რომ მადიანათ დაეყვირა, კლდეს გაბზარავდა. სანამდის კანცელარიაში შევიდოდი, ხუთჯერ მაინც დავახველე, ძეწკვი და მენდალი გავისწორე, ქუდი მოვიხადე და პირჯვარი გამოვისახე. მერე მოწიწებით შევაღე კარი.

უეზდის ნაჩალნიკმა რომ შემომხედა, შულლიანის სახით წამოდგა და დამიახლოვდა. ეჰ, ვთქვი, გაწყრა ღმერთი. ჯერ კიდევ არ ვიყავი სამსახურს შეჩვეული, სულ ურა კვიცი ვიყავი, ტყულა თითს ვერავინ დამაკარებდა. თუ შემომკრა, აქვე უნდა მოვიკლა ჩემი თავი-მეთქი.

იმან დამირუსულა და დამირუსულა: ხმას თან-და-თან უმატებდა; მე ნელ-ნელა უკან-უკან ვიწეოდი. გული ჩიტსავით მიფართქალებდა, როცა ის კატის კლანჭებშია გაძაგრული.

რომ აღარა ეშველა-რა, პასუხი ვერ გამომტყუა, ბოლოს დაიღრიალა: «პერევოჩიკ». უცებ გამოვარდა თარჯიმანი და გადამითარგმნა: უეზდის ნაჩალიკი გიბრძანებს, გაფთხილდი, «ოჩრის» *) ცხენები მუდამ ხუთი, ექვსი გყავდესო. ამ დღეებში ღენერალი მობძანდება და გზები შეაკეთებინეო. კანვერტები რაც მოგივიდეს, გაუგზავნელი და აუსრულებელი არ დააგდოვო. ხანჯალი აღარ დაგინახო შენს წელზედაო. მეტი არაფერი, წადიო.

გულში ვთქვი: შე, ოჯახ აშენებულო, აგრე გეთქვა ქრისტიანულათ; კინაღამ შევარდენ შეტევებულ მტრედსავით გული გამისკდა მეთქი. მინამდის თავი დავუკარი, გამოვედი გარედ, მოვახტი ცხენს და, როგორც ფინთიხი, ისე გამოვექანე, თითქო მივრბოდი, მეორე კანვერტი არ დამწეოდა გზაზე. ნაჩალიკის დარიგება ერთი არ მომეწონა: ხანჯალი წელზე აღარ გინახოვო. ამის შემდეგ სწორედ ყურ-მოჭრილ ყმად გადავიქეცი. მაგიერათ სოფლის ხალხის გამოწვევამ და გზების შეკეთებამ გული გამიკეთა. თუ გავივსე ჯიბე წითლიან-ცისფრიანებით, ახლა გავივსე მეთქი. ჩემი მწერალი უნდა დაეტუქსო, ერთობ გაკადნიერებულია ჩემთან მეთქი. იმ ღამეს შინ ამოვედი, მეორე დღეს «პოპოშნიკები» დავიბა-

---

*) «ივერია», № 10.

*) ოჩრის ცხენი—очередныя лошади.

ქენევა. გვამი მიცვალებულის პრინცის ნიკოლოზ პეტრეს ძის ოლდენბურგსკისა დღეს პეტერბურგში წაასვენეს.

სტამბოლი. ხმა იხმის ვითომ სამი საბერძნეთის ხომალდი კრიტისკენ გაემგზავრა.

ოსმალეთი აუწყებს სახელმწიფოებს, რომ საბერძნეთს ბევრი დაუთმეთო; თუ საბერძნეთი თავისას არ დაიშლის, ჩვენ მეტს ვეღარ დავუთმობთო და იძულებული ვიქმნებით, საქმეს ხელი მაგრა მოვკიდოთო: ვთხოვთ სახელმწიფოებს საბერძნეთს მალა დააცხრონო და ჯარისთვის თოფ-იარაღი აჰყრევინონ, თორემ ომი ასტყდება და ამ უბედურებაში საბერძნეთი იქმნება პასუხის მგებელიო.

ათინა. საბერძნეთს გლადსტონისათვის წიგნი მიუწერია, რომელშიაც წასარჩლებას და შემწეობას სთხოვს. გლადსტონი თავის პასუხში ურჩევს საბერძნეთს, სახელმწიფოთა კანონიერ მოთხოვნილებას დაემორჩილოს.

ათინა. ბერძნები დიდის გულისწყრომით ესაყვედურებიან ინგლისს.

ლონდონი. ინგლისს გადუწყვეტია დასაწყისშივე მოსპოს მტრული განწყობილება საბერძნეთს და ოსმალეთს შორის. ამის გამო ხმელთა შუა ზღვაში გაუგზავნია ესკადრა, რომელშიაც 6 ჯავშნიანი ხომალდია, 6 კრეისერი და მრავალი კანონერკები. ტყუილია, ვითომ ედინბურგის ჰერცოგი ამ ესკადრის კამანდირათ დანიშნულიყოს, ჰერცოგი ამ ხანად [illegible]

ახალი ამბავი

* * საშინელი და შემაძრწუნებელი ამბავი მოგვივიდა გურიიდამ. ახალწელიწადს დღეს, სოფ. დღონაურის ეკლესიაში შეჰხვდრიან ერთმანეთს მტრად გადაკიდებულნი გიგო ჩხარტიშვილი და სესიკა დარჩია. გურულთ ჩვეულებისამებრ, გიგო ჩხარტიშვილს «ხელ-მანდილში» სხვა-და-სხვა ტკბილეულობა ჰქონია გამოკრული ახალ-წლის მისალოცავად. გურულებში ჩვეულება ყოფილა, რომ მოსისხლე მტერსაც კი ურიგდება გური ახალ-წელიწადს დღეს და ულოცავს ბედნიერ დღესასწაულს. გიგო ჩხარტიშვილსაც, როგორც ჩვენი მოამბე გვწერს, სხვათა-შორის სესიკა დარჩიასთვისაც მიულოცნია ბედნიერი დღე და ტკბილად დაბერება მოუსურვებია მისთვის. «სიტკბოს მოგაშორებ და სიმწარეს მოგცემო, დღევანდელს დღეს არ დაგალამებინებო» უთქვამს სესიკას და შიგ ეკლესიაში ხანჯალი დაუცია ახალ-წლის სვეუბედურის მეკვლესათვის. მაგრამ სამწუხარო და შემზარავი სურათი წმინდა ალაგას კაცის დაჩეხისა და სისხლის ღვარისა ამით არ დასრულებულა. დაჭრილს და ეკლესიიდამ გამოქცეულს ჩხარტიშვილს გახელებული დარჩია უკან გამოსდგომია. ვიდრე მდევნელი დაჭრილს მოეწეოდა, ამ უკანასკნელს წინ გადაელობა შვილი პირველისა და თავის მამის მუქარის შესასრულებლად რევოლვერი ესროლა, მაგრამ ტყვია ასცდა იმას, ვისთვისაც დანიშნული იყო და მოხვდა მის საკუთარს მშობელს. ამის შემდეგ, განაგრძობს ამ ამბის მომწერი, დამსწრენი ორ ბანაკად გაიყვნენ და ასტყდა საშინელი, უწყალო ჩეხა და ხანჯლების ტრიალი. ჩხარტიშვილის მხრით სამი კაცი დაიჭრა და დარჩიას მხრით— ექვსი.

ასე [illegible] გათავებულა ახალ-წლის ბედნიერი დღე გურიის ერთს სოფელთაგანში.

* * 14 იანვარს ტფილისის სამაზრო მმართველობაში ჩამოუყვანიათ სასიკვდილოდ დაჭრილი მარტყოფელი მემცხვარე გრიგოლ კახაბრიშვილი. გრიგოლ კახაბრიშვილს დასცემიან სოფ. თაკლის მცხოვრები თათრები—მეცხვარეებიც და ოცი სული ცხვარი წაურთმევიათ. მეცხვარე გამოსდგომია თათრებს და, როცა დასწევია, ერთ თათართაგანს ხანჯალი ჩაუცია ზურგში. ჭრილობისაკან დაცემულს კახაბრიშვილს დაუწყეს თურმე თათრებმა უწყალოდ ჩეხა და, სინამ მგზავრები არ გამოჩნდენ, თავი არ დაანებეს ამ ბარბაროსებმა. სამაზრო პოლიცია მხნედ დაეძებს ავაზაკებს, დაჭრილი კახაბრიშვილი-კი ტფილისის საქალაქო საავად-მყოფოში გაუგზავნიათ. («ნოვ. ობოზ.»).

* * ამავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ბაქოს რკინის-გზის ევლახის სტანციაზე ორის ვერსის სივრცეზე შესამჩნევი მიწის ძვრა ყოფილა იანვრის 12, დილის 5 საათსა და 45 წუთზე. მიწის-ძვრა 5 წუთს გაგრძელებულა და ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ სტანციის შენობაში სტოლები და სკამები შუა-ოთახში გამოწეულიყვნენ.

* * ქუთაისიდამ გვწერენ 13 იანვრიდამ: «გუშინ გათავდა აქაურს ოლქის სასამართლოში მთელის იმერეთისათვის დიდად საინტერესო და საყურადღებო საქმე თ. მიქელაძეებისა, დადიანებისა და სხვათა, რომელთაც დაჰბრალდათ ავაზაკებურად თავდასხმა სოფ. კულაშს თ. როსტომ მიქელაძის სახლზე. ბრალდებულთა რიცხვი სულ 9 იყო. რვა მათგანი სასამართლომ დამნაშავეთ აღიარა და განუჩინა კატორგა: გიორგი მიქელაძეს 15 წლით, აზნაურს გოშუას 9 წლით, თ. დავით მიქელაძეს, დუმჯა მიქელაძეს, და პეტრე და მიხეილ და[illegible] 6 წლით; თ. სვიმონ მიქელაძეს ირკუტსკის გუბერნიაში გადასახლება გადუწყვიტა; კნეინა თებრონია მიქელაძე გამართლებულ იქმნა.

* * ერთის მოსკოველის გაზეთის სიტყვით უკვე გადაუწყვეტიათ, რომ სახელმწიფო ხაზინის ხარჯით შემოუტარონ გარს რკინის-გზა სურამის ალმართს. გზა 20 ვერსის მანძილის გვირაბი გაუკეთდებაო. მუშაობას დაუყოვნებლივ შეუდგებიანო. ფიქრობენ, რომ ოთხი წლის განმავლობაში გათავდება ამ გარ-შემოსავლელის გზის კეთებაო.

* * 14 იანვარს პეტერბურგის ბირჟაზედ ტფილისის ბანკის ათ თუმნიან გირავნობის ფურცლებში უძლევიათ $94^{1}/_{4}$ მან. და ქუთაისისაში 93., მაგრამ გამსყიდველნი არა ყოფილან.

* * როგორც ვიცით, ტფილისის საქალაქო გამგეობის განკარგულებისამებრ, შეშის ურმები ეხლა ვერის ხიდთანა სდგებიან და მუშტარიც იქ მიდის შეშის სასყიდლად, ურიგდება მეშეშეს და გზავნის ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში. თავათ თავის საქმეზე მადის და ურემს მხერხავს ატანს; მაგრამ გზაში შეშის ურმებს ხვდებიან დესეტნიკები, აღარ უშვებენ, გვიჩვენეთ მყიდველი, თუ არა და არ გაგიშვებთო. ამ რიგად ზოგს შუა გზიდამ აბრუნებენ და ისევ უკანვე ისტუმრებენ თურმე და ზოგს-კი ხმასაც არა სცემენ. რა მიზეზია, ნეტა ვიცოდეთ, რომ ზოგისთვის ასეთი მწყალობელნი ყოფილან ეს დესეტნიკები.

ნარევი

გიგო ბერიძემ დაუსწრებლის განჩინებით რაღაც საქმე მოიგო მომრიგებელ მოსამართლესთან. მაგრამ როდესაც მოპასუხემ ხელ-მეორედ გარჩევა ითხოვა და საქმე ხელ-ახლად დაინიშნა, ბერიძემ მოგებული საქმე წააგო.

— დედავ, ვერა გამიგიაო! გუშინ მე მოვიგე... დღეს იმან მოიგო... კონჩინა ყოფილა ეს თქვენი ახალი სუდი, სთქვა გულ-ჩაწყვეტილმა მომჩივანმა...

პეტრე დადიანი [illegible]მთავრობის დროს ულვაშებს იღებავდა. ადრინდელმა კავკასიის ნამესტნიკმა ჰკითხა:

— კნიაზო პეტრე, რისგან არის ულვაშები შავი გაქვს და თმები თეთრიო.

— თქვენო ბრწყინვალებაო, მოახსენა პეტრემ—ეს თმები ოცის წლით უფრო ხნიერი არის ამ ულვაშებზე და რა გასაკვირველიაო.

ლელო.

დაბა და სოფელი

ბათუმი. დაბა-სოფლის მეთვალყურის მოვალეობაა, თვალ-ყური ადევნოს ერთ-გვარად მომდინარე ცხოვრების ტრიალს თავის გარეშემო. მოგეხსენებათ, რომ ამ ცხოვრების ბორბალი ყოველთვის წაღმა არა ტრიალობს, ხან უკუღმაც იცის გადატრიალება. ორსავე შემთხვევის აღნიშვნა, ჯეროვანის სიმართლით და გაუზვიადებლივ, აი ჩემი მოვალეობა. მე მაქვს საქმე საქმესთან და კაცის პირადობის შეხებიდგან ისე შორსა ვარ, როგორც მზე დედა-მიწიდგან... რადგანაც ხანდაზმით უნდა გავუწყო ხოლმე ყოველი მომხდარი და ყოფილი ჩვენის ცხოვრების მეთაურს, გაზეთს, ამიტომ ჯერ საჭიროდ ვრაცხ,—მკითხველს დავუხატო, გარეგანი სურათი იმ ადგილისა, სადაც ბედმა მარგუნა ყოფნა.

ბათუმი სამაზრო ქალაქია ძველებურის მესხეთისა და ეხლანდელის ბათუმის მაზრისა. ამ ქვეყნის გული იყო და არის ბათუმი. აქ ხშირად ნახავთ მესხელებს, რომელნიც თვალ-ტანადობით, სახით, სიტყვა-პასუხით იგივე ქართველები არიან, როგორც გურულები. დიაღ, იგივე გურულები არიან, რადგანაც ეს მხარე გურიის მონაჭერი მხარეა. უნებურად გული მოსდის მაყურებელს ულმობელს დროთა ბრუნვაზე, რომელმაც მოსწყვიტა საქართველოს თათრებმა — აქეთ ეს მხარე, იქით— ალბანია, სახელ-განთქმული საინგილო!

რე, სოფლის მწერალიც, რასაკვირველია, კანცელარიაში მოვიდა. ცოტა არ იყოს, იმას შუღლიანათ შევხვდი: ნაჩალნიკმა შემოგითვალა, რაც მამასახლისმა გიბრძანოს, ყოველივე აუსრულე, თორემ შენს თავს გამოვაცვლევინებო. ამ შენიშვნაზე იმან ჩუმათ წაილაპარაკა: «მიფრთხილდი, მე უფრო მალე არ გამოგცვალო; ასეთს «დანოსს» შეგიდგენ, სადაც ფეხები გაქვს, იქ თავს დაგაკვრევინებო. ეს სიტყვები გულში ეკლად მეცა. ვიფიქრე, ისევ სჯობია, შევუამხანაგდე, თორემ გამაფუჭებს მეთქი. იმ წუთას არა ვუთხარი-რა, მხოლოდ შემდეგ მინდოდა ცალკე გამეცხადებინა მისთვის ჩემი გულის პასუხი. პოპოშნიკებს ვუბძანე, ხალხი გამოაწვიეთ, გზები უნდა შევაკეთოთ, ღრუბენატორი მობძანდება იქითა კვირაში. გავეცი ყოველ-ნაირი განკარგულება, ყველანი დავითხოვე, მწერალი შინ წამოვიყვანე და წამოვედი; იმას კარგი სადილი ვაჭამე, ცოტა ღვინოც დავაძალე; სადილს შემდეგ, საცა კარგი ჩერო იყო, ეზოში ხალიჩა გავაშლევინე, ორი მუთაქა მოვატანინე და ზედ წამოვკოტრიალდით; მერე დავუწყე: «ჩვენ ახლა კარგი ამხანაგობა გვმართებს, ერთმანეთს ხელი მოვკიდოთ; შენ კარგი კალმის და ჩოთქის კაცი ხარ; განკარგულება ჩემს ხელშია, ამასთანავე კარგი გამოცდილი და მოხერხებულიცა ვარ. ახლა ამ გლეხ-კაცებს რომ გამოვაწვევთ, გზები იმდენი არა გვაქვს-რა საკეთებელი და ამითი შეგვიძლია კარგად ვისარგებლოთ მეთქი.

— როგორ არაო, მომაძახა—მეც ეგ მინდოდა შენთვის მეთქვაო...

— არა, ჩემო კარგო-მეთქი,—ორი წილი მე, ერთი წილი შენ.

— შენც არ მომიკვდეო—მიპასუხა გაკუდურებულმა მწერალმა. მართლა მდივან-ბეგი არ გეგონოს შენი თავი, ასეთს დანოსს...

— სსუ! სსუ! უცებ ხელი მივაფარე ტუჩებზე, მეტს ნულარ გამაგონებ-მეთქი. შენი ნება იყოს. ნახევარი—შენ, ნახევარი მე...

— კარგიო, მითხრა. ამას შემდეგ გავკოცნეთ ერთმანეთი.

— აბა, ფული შენ იღე და ბეჯითად სწერე, რამდენი შემოგივიდეს-მეთქი . მე სიმინდებით ვიცი თვლა, არა დამავიწყდება-რა, მაგრამ შენც დაითვალე-მეთქი. იმან ეშმაკურად გადმომხედა. ალბად იფიქრა, შენი სიმინდები ჩემს ჩოთქს ვერ მოსწვდებიანო. გამოვეთხოვე, ერთი კიდევ ფარისევლურად გავკოცნე და გავუშვი. ჩემი მწუხარება გამართლდა. ისეთ ნაირად გამიძაღლა საქმე, რომ რასაც საერთოდ ვიღებდით, მე მესამედის მეტს არ მაძლევდა; თუ რასმე ვუსაყვედურებდი,—მეტყოდა: გაჩუმდი, თვარა გაშანშალებული «დანოსი» მაქვს გამზადებულიო. მე ერთი უკალმო კაცი ვიყავი; არძის რომ მეშინოდა, მამალი მგლის არ შემეშინებოდა ისე. დავმორჩილდი ჩემს ბედს, ოღონდ საქმე კარგად წასულიყო; მაგრამ უბედურება მაინც თავიდან ვერ ავიცილე.

ერთს დღეს მოვიდა იასაული და იმ ჩემს დამტანჯავს კანვერტს კიდევ ხელით მოაქნევს. გამისკდა, ჩვეულებრივად, გული. კანვერტი მწერალს გადავეცი. იასაულმა პირად მითხრა, ღრუბენატორი და მთელი ქ—ს ჩინოვნიკობა ზეგ მოდიანო. ნაჩალნიკმა შემოგითვალა,—ყოველივე რიგიანად დამახვედრე, თორემ პასუხში მიგცემო. თავი და ბოლო ის არის, საჩივარი არავინ განაცხადოსო. ამისთანა მუქარამ სულ მუხლებში დამხუთა. გული წმინდად არ მქონდა. გზის საკეთებლად მართლად დიდი და პატარა გამოვაწვიე. ბევრი მიკრაჭუნებდა კბილებს. ზოგი ამბობდა, ჩემ გასაგონად... ვისგან რამდენი ამელო მუშაობის პატივებაში. ყველაზე საუბედურო ნიშნებს იმაში ვხედავდი, რომ ბძანება მქონდა ხალხი კანცელარიასთან უნდა დამეხვედრებინა. ზოგიერთი, ჩვენს საზოგადოებაში, არზის ძლევით ისე გაწუწკებული იყვნენ, როგორც ღორი ყანაში. მართალია, ამისთანა მაწაწკებისაგან არაფერი აგვილია, დი არც მიპატივებია იმათთვის მუშაობა, მაგრამ მაინც შიში მქონდა, სხვები არ გაებრიყვებინათ და მოსარჩლედ არ დასდგომოდენ.

შემეწია ღმერთი და წინ-დღით მობძანდა ჩემი მოწყალე და პატრონი ნაჩალნიკის პოპოშნიკი.

— მამასახლისოვო — მკითხა—ხომ ყველაფერი რიგიანად გაქვსო. გზები გვარიანად შეგიკეთებია, მადლობელი ვარ; მაგრამ კანცელარიის წიგნები, შტრაფის დავთარი, შემოსავალ-გასავალის ჟურნალი ხომ ყველა რიგიანად გაქვსო.

ამ უკანასკნელს კითხვაზე გამაცივა. კანცელარიის წიგნები კი არა, ხანდა-ხან ქაღალდის ნაფლეთიც არ მოიძებნებოდა ჩვენს ბარობაზე.

— შემცდარი ვარ. მაპატივე, ჩემო ხელმწიფევ. მე ეგ წესები არ ვიცოდი-მეთქი. მუხლთ მოუყარე და დავეღრიჯე.

— ეგ არაფერიაო. ჯერ კიდევ მაინც კარგად არ გამოგცხადებიათ თქვენი მოვალეობა. ახლა, ღუბერნატორი რომ მობძანდება, ის გამოგიცხადებსთ, აგიხსნისთ თქვენს მოვალეობას და მერე, თუ რამე «უპუშჩენიე» გექნა, კანონით დაისჯები უსამართლობისთვისო.

— ეჰ, ისიც, ისიც, ვიფიქრე გულში და სახეზე ფერი გადამკრა. ალბად «უპუშჩენიე» ჩვენგან აღებულს ქრთამებს უნდა ერქვას, ქართულად აღარ თქვა, ამ საზოგადოებაში თავი არ მომჭრა-მეთქი.

— თქვენთან, შენი ჭირიმე, ორიოდე სიტყვა მაქვს მოსახსენებელი-მეთქი. აგერ, აქ, მეორე ოთახში მობძანდით-მეთქი.

შევიდა თუ არა, მეც შევყევი და კარები შევიხურე... დავუჩოქე და ასე შევევედრე: თქვენს მეტი მფარველი და მოწყალე ჩემთვის ღმერთს არ დაუბადებია-მეთქი. ჩემს საზოგადოებაში რამდენიმე კლიაუზი გლეხია და რომ უწესოდ არაფერი სთქვან ღრუბენატორის წინაშე, იქნება საქმე ალუჩინოთ და აქედ-იქით დავგზავნოთ-მეთქი.

— ძალიან კარგიო.

...მერე ამოიღო პატარა წიგნი, კლიაუზნი კაცების სახელი და გვარი ჩაიწერა.

ვთქვი, მეშველა!

აბა, რაღად ვინაღვლიდი, ეს გლეხების აღებული ფულებიდან ხუთი თუმანი კიდევ ჩამრჩა ჯიბეში. მწერალის ჯავრი მქონდა, იმ ულვინო მწერლისა, რომ პასუხის გება არა ადგა რა თავზე და ფულებს კი ჩემის ძოხებით ორივე ხელებით ხვეტდა.

მოგვეცა სიცოცხლე, მეორეს დღეს ნაჩალნიკის პოპოშნიკმა კლიაუზნი კაცები აქეთ-იქით დააბნია. ზოგი რაჭას გაგზავნა, ზოგი ქ—ს, ზოგი ლ—მს, ზოგი სად და ზოგი სად.

გ. წერეთელი.

(დასასრული ხვალ.)

სასიამოვნო სანახავია, როცა აჭარელი ისევე ლაპარაკობს მის ბუნებრივს ქართულს ენაზე, როგორც XVII საუკუნის წინად.

ბათუმი პორტო-ფრანკოა, ისეთი ქალაქი, სადაც უბაჟოდ ყოველისფერს შეიტან, მხოლოდ იქიდან თუ გამოიტან, ბაჟი უნდა მისცე. ძალიან შეავიწროვა ხალხი ამ გვარმა საქმის მდგომარეობამ. ეს არის მიზეზი, რომ ბათუმის მაზრამ მიართვა არზა უმაღლესს მთავრობას, რომ პორტო-ფრანკო მოისპოს. ვიცით გაზეთებიდგან, რომ ამ საქმის გარემოება წარდგენილია სახელმწიფო რჩევაში გასარჩევად. უეჭველია, უმაღლესი მთავრობა ხალხის სურვილს პატივსა ჰსცემს. მაშინ მთავრობას ექმნება საქმე პირ-და-პირ უცხოელთა სოვდაგრებთან, რომელთაც თვითონ გადაახდევინებს ბაჟსა.

დღით-დღე იზრდება ბათუმი: ვისაც ეს ქალაქი უნახავს რამდენიმე წლის წინად, დღეს რომ მობრძანდეს აქა, სრულებით ვეღარ იცნობს ქალაქსა. ძნელად-ღა ნახავთ ცარიელს ადგილს აქა, გარდა იმ აქა-იქ სადავო მამულებისა, რომელნიც ცარიელნი ყრიან: სოკოსავით ამოდიან სახლები, და აშენების უმალვე ქირით იჭერენ. გასაოცარს ფასს აძლევენ სადგურებში. დროა, მაზნდაა ასეთი. აავსო ბათუმი მთელის მიდეთის ხალხით. დიდი მუშაობა, მოძრაობაა. აქ ნავთის ქარხნები, იქ სამხედრო სიმაგრეები, აქ ნავთ-საყუდლის გასაკეთებლად გაცხარებული მუშაობა, იქ კასრების ქარხანა და სხ. ყველა ესენი ისეთი რთული საქმეებია, რომელიც ათასობით თხოულობს თუ მუშას, თუ ხელოსანს, თუ გამგებელს, თუ მორიგეს და ბევრი სხვანი. ამ გარემოებამ ასწია ფასები, არა მარტო სადგურებზე, —საჭმელ-სასმელზედაც. არც ეს უგანასკნელია აქ იაფად. ასეა, თუ ისე, ბათუმი კი საათობით იზრდება და აძლევს ლუკმას ყველას, ვინც ხელს ანძრევს.

ბათუმი, შემოზღუდული მთებით და ზღვით, ერთი საუკეთესო ზღვის პირა ქალაქთაგანია. ამ სიკეთეში ბევრი წილი უდევს მდებარეობასა და ჰავას. შავი ზღვა, რომლის ნაპირზედაც მდებარეობს ბათუმი, ზაფხულში აგრილებს ბათუმის არე-მარეს, ზამთარში ათბობს. ეს, როგორც მოგეხსენებათ, საზოგადო მოვლენაა, თვისებაა ზღვისა. ბათუმის ახლო-მახლო ბლომად არის მშვენიერი საავარაკო ადგილები რგინის წყლებით. —ამას რომ მიუმატოთ ის მთები, და ღელეები, რომელიც ბათუმს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ არტყია, მაშინ ხომ უფრო დაფერადდება ისედაც კოხტა ბათუმი. ერთმა რუსულის გაზეთის კორრესპონდენტმა ბათუმი შეადარა ნიცცას და სთქვა, რომ ჯან-მრთელობისათვის ბათუმი მეორე ნიცცა იქნებაო.

თავის დროზე რომ ბათუმი ნიცცა იქნება, ამას მეც ვიტყვი, მაგრამ დღეს რომ ბათუმი შეუფარდოთ ნიცცას, ამ «ჯანსაღზს», ეს, სხვა რომ არა იყოს-რა, ბათუმის მდებარეობის და მისი სანიტარულის მდგომარეობის უცოდინრობაში ჩამოგვერთმევა. ბათუმში, სიმართლე ითხოვს, გსთქვათ, მხოლოდ ერთი ნაწილია სუფთად, ჰიგიენურად მოწყობილი. ეს ევროპიული ნაწილია ქალაქისა და სახელად «აზიზიე» ჰქვიან. იმ კორრესპონდენტს რომ «ნურია» ენახა თავისის დამპალის ტბით, ჯაიანის საღორით, გაბრიელას ბოსლით, მეძროხეთა საჯინიბოებით, და სამხრეთის მხარეზე ბათუმიდგან ჩაყვითლებული ჭაობები, მაშინ ნიცცა კი არა, კოსი და ხოლერის მიკრობები მოელანდებოდნენ თვალებში!

სამხრეთით ბათუმს არტყია კარგა ბლომა მანძილზედ ჭაობები. როგორც ყველგან და ყოველთვის, ისეც აქ ეს ჭაობები, სავსენი არიან მიაზმებით, რომელნიც სწამლავენ ბათუმის ჰაერს. თუმცა მმართებლობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ ჭაობებს, საიდგანაც ზღვამდის გაიყვანა არხი, მაგრამ დროა საჭირო, რომ სულ დაიწრიტნენ და დაშრნენ იგინი. ოდესმე დაშრებიან ეს ჭაობები, მაგრამ დღეს-კი ისეთ შეხლებულს და შეზავებულს ჰაერს სთავაზობენ ჩვენს ფილტვებს, რომ ღმერთმა თქვენ მტერს.

«ნურიის» ტბა, უიმისოდაც დამპალი წყლით სავსე, ივსება ათას-გვარი ბინძურობით. აქვე ბატონს ჯაიანს გაუკეთებია საღორე, სადაც შუა ქალაქში ღორებს აბუნავებს. საჯინიბოები არ იწმინდება, გაბრიელის ნახირი ხომ უარესს სჩადის. გაბრიელაც დამიჯერებს და ბატონი ჯაიანიც, რომ საზოგადო ჯან-მრთელობის დასაცველად უმჯობესი იქმნებოდა, პირველის ბოსელი და მეორის საღორე ქალაქს გარედ ყოფილიყვნენ გაკეთებულნი. პირველს ბევრი ნახირი მისცეს ღმერთმა და მეორეს ბევრი ტახები, მაგრამ ჩვენი სიმრთელის მავნებელი ნურც ნახირი და ნურც ღორები ნუ იქნებიან. შარშან პოლიცია ქუჩებში ღორებს არ ატარებდა და წელს კი არხეინად დასეირნობენ იგივე ღორები ქუჩებში. «პატენტიანი» ღორები არიანო, მოგახსენებენ! «ნურიის» ტბასაც მიაქცია მთავრობამ ყურადღება. ვიდაც პასკი კისრულობს ამ მავნებელი გუბის დაშრობასაო. იმედია, თავის დროზე ყოველივე ზევით ნათქვამი გარემოება, რომელიც საშიშია საზოგადოებრივის ჯან-მრთელობისათვის მოისპობა, აბა მაშინ იქმნება ბათუმი ნიცცაც და კარსლბადიც.

ბათუმი სხვაფრივაცაა შესანიშნავი. მის გარემემო ბუნებას თითქო განგებ გაუკეთებიაო ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე სიმაგრეები. მოიგონეთ ძველებური ქაჯეთის ციხე! სამხრეთ-აღმოსავლეთით ბათუმს იმდენი «ჯაჯური ციხეები» არტყია თვით ბუნებისგან აშენებულნი, რომ ბათუმს მართლა ქაჯებიც ვერას დააკლებენ. ბათუმის ნავთ-საყუდელი?—ეს ხომ უმშვენიერესი რამ არის: მყუდრო, განიერი, ღრმა. როცა გაშლილი ზღვა დაჭრილ ნადირსავით ღრიალებს და საზარლად გრგვინავს, მაშინ ნავთ-საყუდელი, თითქო დასცინის ზღვასაო, ნელ-ნელა ათამაშებს ორთქლის მატარებლებს და აფრიან გემებს! ის ბათუმი, რომელიც ამ ათის წლის წინად ირგვლივ ატეხილის ჯაგნარით იყო შემოსილი, სადაც მხოლოდ ერთ ნაწილში ატუზულიყო ორიოდე სახლი, დღეს სამხედრო, საკომერციო და ჯანსაღზ ქალაქად გარდიქცა! ვინ მოიფიქრებდა ამას ამ თხუთმეტის წლის წინედ?

იქ, სადაც წინედ ტყე იყო, სადაც ტურები და გარეული ღორები ნავარდობდნენ, დღეს ქალაქის ბაღი და რამდენიმე სართულიანი სახლებია გადაჭიმული.

ბათუმში ადგილობრივ მცხოვრებლებად ითვლებიან მაჰმადიან-ქართველები, ბერძნები, სომხები და რამდენიმე კვამლი ქართველი კათოლიკენი. დანარჩენები ყველა მოსულები არიან. აქაურ მკვიდრთა შორის მაჰმადიანნი-ქართველები ყველაზე უფრო დაჩაგრულებათ სთვლიან თავსა. ეს ადვილი წარმოსადგენია. ახალს ცხოვრებას, ახალს კანონებს ვიდრე შეჩვევიან ახალი ცხოვრების აღიარებულს და გახელმწიფებულს მიმართულებას, იგინი ყოველთვის უკან ჩამორჩებიან ცხოვრების მიმდინარეობას. დრო მოვა, რომ ისინიც შევლენ საზოგადო ცხოვრების მორევში. ბათუმში არის საქალაქო სასწავლებელი, ქალების პროფესიონალური სკოლა, ბერძნის სკოლა და «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» სასწავლებელი. არის ორი მედრესე ე. ი. მაჰმადიანების სკოლები.

ხუმარა.

დამაკვირდი!

— ცრემლი ქალისა ნამია ცისა და მამა-კაცის ცრემლი კი ადუღებული ტყვიაა, ამიტომაც ქალისათვის ცრემლი შვებაა და მამა-კაცისთვის კი წამება. (ბაირონი).

⁂

— თუ ტრფიალება სულელებს აჭკვიანებს, ჭკვიანებსაც კი ძალიან ასულელებს ხოლმე. (ბუასტი).

⁂

— ადამიანი ჩარხსა ჰგავს: ტრიალს მაშინ შეჰსწყვეტს ხოლმე, როცა ყანგი მოეკიდება. (ვოლტერი).

⁂

— გული დედისა სამაგალითო ქმნილებაა სიყვარულისა. (გეილდარდი).

⁂

— თუ შენ გიყვარს, თუ შენ ლოცულობ, თუ შენ იტანჯები—მაშ კაცეც შენა ჰყოფილხარ. (ინდოური ანდაზა).

⁂

— დიოგენს ერთი მონა ჰყოლია და გაჰქცევია. მეგობრებს ურჩევიათ, მოძებნე და უკანვე მოიყვანეო. რაო? შეუკივლია დიოგენს: თუ ჩემი მონა უჩემოდ გასძლებს, მე კი უიმისოდ ვერ გავძლებო!

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

«ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?» მომაგონდა რუსთაველის სიტყვები, როდესაც გაზეთიდამ—«Новое Время» შემდეგი მწარედ დასაფიქრებელი ამბავი ამოვიკითხე:

> მთელის რუსეთისთვის დაუვიწყარ, გამოჩენილ და დაუშრომელ მოღვაწის, ბარონ კორფის ქვრივი ისეთ გაჭირვებულს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ იძულებულია, ლუკმა პურის მოსაპოებლად ყმაწვილებს ასწავლოს.

ვისაც ცოტა რამ უსწავლია, გეეგონება ბარონ კორფის სახელი. ბარ. კორფი ერთი კარგად გამოჩენილი პედაგოგი იყო. ამისი პედაგოგიური და პირველ დაწყებითთა სკოლებისთვის ნაწერი წიგნები მთელ რუსეთშია გავრცელებული: მთელი თავის ქონება, სიცოცხლე და ცოდნა ხალხის განათლებას და ერობის საქმეს შესწირა. მამა-პაპეული მამული ვალებში გეეყიდა; ამის წიგნები ასი ათასობით ისყიდება და აქედამ შემოსული ფულიც გამომცემლების უძირო ჯიბეებში ჩადის და ამ კაცის ცოლ-შვილი კი ულუკმო პუროთ დაიარება.

> ბარონ კორფის სიკვდილმა, განაგრძობს გაზეთი, ყველას გული მოუკლა. გაზეთებში ჩვეულებრივი ლაპარაკი ჩამოვარდა: ყველა პატივით და ქების შესხმით იხსენიებდა მის მოღვაწეობას, მის სამსახურს მამულის წინაშე. ბევრი სწერეს, ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იგონეს,—ამ ქება დიდებაში მისი სახლობა-კი ცის ანაბარად დააგდეს.

ბარ. კორფის ქვრივმა თავი არ დაიმდაბლა, ხელი არავის გაუწოდა სამადლოდ, ისევ ირჩია თავის საკუთარის შრომით მოეპოვა საზრდო და აი ეხლა მუზიკას ასწავლის.

> მძიმეა გროშობით მოპოვებული ლუკმა პური! მძიმეა მეტადრე იმისთვის, ვისაც ცხოვრებაში გაჭირვება არ უნახავს, და სიბერეში კი თავის ხელით უნდა მოიპოვოს საზრდო.

რუსეთში რომ ესეა, ჩვენში რაღას უნდა მოელოდდეს საბრალო საქვეყნო მოღვაწე?!

⁂

დიდის პატივის და თანაგრძნობის ღირსია დიდი თუ პატარა, თავადი თუ აზნაური, მღვდელი თუ ერი, თუ თავის ღარიბს, დაცემულს და ბედით დაჩაგრულს მოძმეს არ ივიწყებს და გაჭირვებაში შემწეობის ხელს აწვდის. ამ გვარი ქველ-მოქმედი თავის სიცოცხლეშივე დაჯილდოებული იქმნება, და რა ჯილდო შეედრება ამას. აი გაზეთს «Московс. Вѣдом.»-ში რას ვკითხულობთ:

> გრაფმა შერემეტიევმა წარსულს 1885 წელს აპატია თავის ნაყმევ გლეხებს 270,000 მან. ფული, რომელიც გლეხებს უნდა გადაეხადნათ მისთვის. ამ გლეხთა საზოგადოებამ ამოირჩია დეპუტაცია და ბ-ნ შერემეტიევს წარუგზავნა მადლობის გადასახდელად.
>
> დეპუტაციისთვის ამორჩეულნი იყვნენ ორი მამასახლისი, სოფლის მწერალი და ხუთი პატივცემული კაცი. დეპუტაციამ ბ-ნს შერემეტიევს მიართვა პურმარილი მშვენიერს ჩუქურთმით ამოჭრილს ტაბაკზე. ტაბაკზე სუფთად ამოჭრილია გრაფის გვირგვინი და ნაპირებზე წვრილად ზედ-წარწერილია: «მის ბრწყინვალებას გრაფს ალექსანდრე დიმიტრის ძეს შერემეტიევს მადლობელთა ნაყმევთაგან.» ბ-მა შერემეტიევმა დეპუტაციას დიდი გულითადი მადლობა განუცხადა და თავისთან სადილათ მიიწვია.

⁂

ჩვენი ქვეყანა უხვად არის შემკული სხვა-და-სხვა ბუნების სიმდიდრით. მაგრამ ეს სიმდიდრე მანანასავით პირში არ ჩამოგვიცვივა, მზად კი არ არის, რომ ავიღოთ და პირ-და-პირ ჯიბეში ჩავიდოთ. არა, ეს სიმდიდრე მიწაში ღრმად არის ჩაფლული. ამის მოპოვებას ბევრი ცოდნა და შრომა უნდა; ჩვენ ეს არც ერთი გვაქვს და არც მეორე გვიყვარს. მადლობა ღმერთს მართებლობამ მაინც მიაქცია ყურადღება ამ ფრიად სასარგებლო საქმეს. გაზეთი «Московс. Вѣдом.» ამ საქმის შესახებ ფრიად სასიამოვნო ამბავს გვაუწყებს:

> წლევანდელი წელი მდიდარი იქმნება სამეცნიერო მოგზაურობით და გამოკვლევით. სახეში აქვთ, რამდენიმე ექსპედიცია გაგზავნონ ბაქოში და აჰიერ კავკასიაში. ექსპედიციამ უნდა გამოიკვლიოს, რამდენად ბევრია კიდევ ნავთი ბაქოში და ჩქარა გამოილევა თუ არა და ღირს შესამუშავებლად სხვა ადგილებში აღმოჩენილი ნავთი, თუ არა ღირს?

გზას დავულოცავთ ამ ექსპედიციას, და გულით ვისურვებთ, კვლავაც კიდევ გვწვეოდეს ამ გვარი ექსპედიციები ჩვენის ქვეყნის სხვა სიმდიდრის გამოსაკვლევადაც და მოსაპოებლად.

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

ბიბლიოთეკა

წმ. მოციქული ნინა ქართველთა განმანათლებელი (თქმული მ... ს... მიერ).

ამ დღეებში ხელთ ჩამივარდა ეს პატარა წიგნი, წავიკითხე და დავფიქრდი—რისთვის და ვისთვის იწერება ამისთანა წიგნები-მეთქი?

ჩვენის ერისათვის წმ. ნინა დიდად თაყვან-საცემია. წმ. ნინას მოციქულთასწორი ღვაწლი მიუძღვის ქართველთ წინაშე. მან მოჰფინა ნათელი ჩვენ გონებით სიბნელეს, გაუწყა და დააფუძნა ჩვენში ის მაღალი და ღვთაებური სწავლა, რომელმაც ღრმა ცვლილება მოახდინა მთელის კაცობრიობის ურთიერთ განწყობილებაში. ყოველი ნამდვილი, ან ჭეშმარიტი ქართველი-ქრისტიანი ვალდებულია დაწვრილებით იცოდეს მის ცხოვრება, ვისაც ჩვენი გონების და გულის განკარგულებისთვის უღვაწნია.—მაგრამ საოცარია ერთი სამწუხარო უმეცრება, რომელიც სენივით გასჯდომიათ ჯანში ამ გვარის წიგნების მწერლებს. ბარბაროსული, დამახინჯებული, ფარნაოზის დროს გაუგებარი ენა აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ მათ ამ გვარი წიგნებისთვის. როგორ ვერ შეუგნიათ ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ამ გვარი წიგნები იწერება ხალხისათვის და მაშასადამე, მდაბიური, ადვილ-გასაგების ენით უნდა იყოს დაწერილი. აი ერთი ადგილი მ... ს... მიერ შედგენილის წიგნიდამ.

> «არა თუ ცხოვრებასა შინა მოჰქმედებდა მრავალთა სასწაულთა და კურნებათა, არამედ შემდეგ წმიდისა აღსრულებისა მისისა, რომელიც აქამომდე ვითარ წყარო გაუწყვეტელი, ჰსდიან წმიდასა საფლავსა მოციქულისასა. ამის მიზეზით, ახლად დანერგულმა საქართველოს ეკლესიამან თანახმობითა საბერძნეთის ეკლესიისათა ძველადვე უწოდა წმიდა ნინას «განმანათლებლად და მოციქულ სწორ» და დააწესა ამის ხსენებისათვის 14 იანვარი, როგორც დღე სანატრელ აღსრულებისა წმ. მოციქულისა, რომელიც იდღესასწაულების პატიოსნად აქამომდე, ყოველთა ერთაგან,—რომელსაც აქვს მას ზედა სასოება, ვითარ წინამდგომსა თვისა წინაშე მეუფისა და მხურვალისა, მევედრებელისა საქართველოს ეკლესიისა და ერისა, რომლისათვის ითხოვს მოწყალებასა და აღორძინებასა მეუფისა-გან.»

სული ძლივ ამოვიბრუნე, მანამ ბოლომდის ჩავიკითხავდი; უთვალავ «რომელმა» და «რომელთა» გული შემიწუხეს; იმან რაღა უნდა ქმნას, ვინც ხათვლით წიგნს ძლივსა კითხულობს?—ჩემის ფიქრით, ამ გვარის ენით დაწერილი წიგნები არამც თუ სასოებას და გულ-მხურვალე გრძნობას გაუღვიძებენ მკითხველს, კითხვის ხალისსაც სრულიად ჩაუხშობენ. ნუ თუ ეს სასურველია?

ავტორი წიგნის ბოლოს ამბობს:

> სრული ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მოციქულისა იქ ითხოვების ვრცლად აღწერილი და შემკული მრავლითა აღწერითა «საქართველოს სამოთხეში», გამოცემული საბინინის მიერ,

ღმერთმა ჩემი მტერიც დაიფაროს ამ გვარის განსაცდელისაგან! მე მომიხდა ერთხელ ამ «სამოთხეში» ყოფნა და თავი და ბედი ვიწყევლე. აი საქმე როგორ იყო. ვიღამაც მომიტანა წმ. აბოს სურათი და მთხოვა წმიდანის ცხოვრება მეამბნა. წმინდანის ცხოვრება ზეპირად არ ვიცოდი და ბ-ნი საბინინის «ოხმალეთს» ხელი მივყავ. ბევრი ვიმტვრიე თავი, მაგრამ მე იქ ვერაფერი გავიგე. მეტი ჯანი და ღონე არ იყო, ისევ დიმ. ფურცელაძისგან შედგენილს წიგნს: «Житье грузинскихъ святыхъ»-ს მივმართე.

ვიმეორებ კიდევ: ვისთვის ან რისთვის არის ეს პატარა ცალკე წიგნი

დაწერილი? ვისთვის იყო საჭირო ამის გამეორება, რაც ამ გვარისავე წიგნებიდამ დიდი ხანია ყველამ იცის? მე სულ სხვა იმედით შევუდექი ამ წიგნის კითხვას: მე მეგონა, ერთ-ორ ახალ სიტყვას მაინც იტყვის მეთქი ავტორი, ცოტად მაინც გაჩხრეკს, გამოიკვლევს მეთქი ამ დიდად მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენის ისტორიისას. წმ. ნინას ქადაგება და ქრისტიანობის მიღება-მთელი ეპოქაა ჩვენს ისტორიაში. სარწმუნოებას გამოცვლა ადვილი საქმე არ არის: სარწმუნოება ტანისამოსი ხომ არ არის, რომ კაცმა დღეს ძველი გადააგდოს და ხვალ ახალი ჩაიცვას. სარწმუნოება ღრმა, შეურყეველი სულისა და გულის მოთხოვნილებაა; ხეს, რომლისაც ფესვები ღრმად და განზედ დაუდგამს, უცბად ვერ ამოჰგლეჯთ. დიდი უნდა, რომ მტკიცედ შესრულებულს მამა-პაპიდამ გადმოცემულს რწმუნებაზედ გული აიცრუოს კაცმა და ახალს ხელი მოჰკიდოს. განა შესაძლო იყო, ისე მალე მირიანსად აღმოფხვრილიყო საქართველოში კერპთ-თაყვანისმცემლობა და ქრისტიანობა ისე ვრცლად მოფენილიყო, როგორც ისტორია მოგვითხრობს. ნუ თუ წმ. ნინას უწინარეს ჩვენში არავის უქადაგნია ქრისტიანობა? მაშ რაღ არის ისტორიაში მოხსენებული ანდრია პირველ-წოდებულ, როგორც ქართველთა შორის მქადაგებელი, ან რად უწოდებენ საქართველოს ღვთის მშობლის წილხდომილად? ან, ნუ თუ საკმაო იყო ის მარტივი გარემოება—თვალთა სიბნელე, რომ მირიან მეფეს უცბად გული აეყარა თავის კერპებზე და ქრისტიანობა მიეღო? ყურადღების ღირსია ეს გარემოება: ფრანგების ხელმწიფემ ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო იმის გამო, რომ თვალთ სიბნელე მოუვიდა; რუსების ხელმწიფემ ვლადიმერ ქრისტიანობაზე უარს ჰყოფდა, ვინემ თვალთ სიბნელე არ მოუვიდა; მირიან მეფემაც მხოლოდ თვალთ სიბნელის გამო მიიღო ქრისტიანობა. ნუ თუ ყველგან და ყველასათვის ქრისტიანობის მიღებისათვის თვალთ სიბნელე იყო აუცილებლად საჭირო?

ყველა ზემოდ ნაჩვენებ გარემოებათა კრიტიკული გამოკვლევა უფრო მეტს დიდებას და პატივს შესძენს წმ. ნინას სახელსა და მოღვაწეობას, ვიდრე განუჩხრეკელი არაკებური მოთხრობა. ურიგო არ იქმნება, ეს გარემოება სახეში იქონიოს ყველამ, ვინც შემდეგში წმ. ნინას ცხოვრების აღწერას მოიწადინებს. დასავლეთ ევროპიის მსწავლულებს რომ თავი დავანებოთ, რუსების მსწავლულებს მაინც მიჰბაძონ. რუსეთის საეკლესიო ისტორიის მწერლები დიდი ხანია ამ გზას ადგანან.

* * *

დაგვიანებული დეპეშა

იანვრის 15

პეტერბურგი. დაიწყობს სესხის გაცემას სახელმწიფო თავად-აზნაურთათვის დაწესებულის ბანკის განყოფილება სიმბირსკისა 16 და არლოვსკისა 18 იანვარს.

ლონდონი. როცა ქვედა პალატაში სეფე-სიტყვის პასუხად მისართმევ ადრესის თაობაზე სჯა და ბაასი გაიმართა, ოპპოზიციის წევრმა კოლლინგსმა წინადადება, შეიტანა ადრესში გამოეხატათ მწუხარება მის გამო, რომ გლეხთა არ ეძლევათ ზოგიერთი შეღავათი წვრილ-წვრილი ნაჭრები მამულისა შეისყიდონ. მინისტრი ჩაპლინი წინააღუდგა ამ წინადადებას და გამოაცხადა, რომ მაგისი თქმა ადრესში და იმისი თქმა, რომ არ ვენდობით ეხლანდელს სამინისტროს—ერთი და იგივე იქნებაო. გლადსტონი გამოესარჩლა კოლლინგსა და მის წინადადებას და სთქვა, რომ კისრად ვიდებ, თუ ამ წინადადების მიღების გამო მოხდა რამე და იმედიცა მაქვს, რომ მაგ წინადადებას მიიღებს ბლომად გადაჭარბებული უმრავლესობა პარლამენტისაო. წინადადება კოლლინგსისა მიღებულ იქმნა 329 ხმით წინააღმდეგ 250-ისა. ამ სახით, სალისბერს ფრიად საგრძნობელი მარცხი მოუვიდა. ჩამბერლენმა იკითხა, მართალია, რომ ინგლისის ელჩს ათინაში უთქვამს: ინგლისი მზად არის თავის ესკადრა გაგზავნოს საბერძნეთის წყლებში ჩასადგომად იმ აზრით, ვითომც საბერძნეთს დაუშალოს თავისი ფლოტი ამოქმედოს ოსმალოს წინააღმდეგო? გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ბორკმა უპასუხა, რომ მაგის თაობაზე ელჩისათვის არავითარი ინსტრუქცია არ გაუგზავნიათ.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უოჱ—478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ—42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

16 დღე ხუთშაბათი. დაცვინა ჯაჭვთა პეტრე მოციქულისა. სომ. პეტრე მამამთავარისა. კათ. მარცელისა და სტეფანესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—18. ტფილისში მზე ამოდის 7—17; ჩადის 5—10. მთვარე ამოდის 2—24 ნღ. ჩადის 12—25 ნღ.

17 დღე პარასკევი. ღირსისა მამისა ანტონი დიდისა. სომეხ. მარხვაა. კათოლ. ანტონისა და მერნარდისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—24. ტფილისში მზე ამოდის 7—16; ჩადის 5—11. მთვარე ამოდის 3—4 ნღ; ჩადის 1—9 ნდ.

18 დღე შაბათი. წმ. მამათა, ათანასი, კირილე ეპისკ. ალექსანდრის-. სომ. წმ. ანტონ, ტრიფონ, პარსამ, ონოფრე განდეგილთა. კათ. წმ. პეტრესი რომში.

გამოიცა მანიფესტი იმპერატორის პავლე I საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13—33. ტფილისში მზე ამოდის 7—15; ჩადის 5—12. მთვარე ამოდის 4—16 ნღ. ჩადის 1—45 ნდ.

19 დღე კვირა. ღირ. მაკარ ეგვიპტელისა, ანტონ მარტყოფელისა, მიიცვ. მე VI საუკ. სომეხთა: პირველი კვირა შობისა და ნათლის-ღებისა შემდეგ. კათ. ჰენრიხისა.

გენ. მაიორი ტუჩკოვი გაემართა კავკასიის გრენადერის პოლკით სამეგრელოს დასაპყრობად, მაგრამ იმერეთის მეფემ სოლომონმა II-ემ არ შეუშვა. ხოლო როცა თ. ციციანოვი მივიდა იმერეთის საზღვარზე ჯარითა და მოითხოვა მორჩილება, მეფე სოლომონ არამც თუ ეურჩა, არამედ თვითონვე სთხოვა თავადს ციციანოვს, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებულ იქმნას, 1804 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13—42. ტფილისში მზე ამოდის 7—14; ჩადის 5—14;. მთვარე ამოდის 5—1 ნღ. ჩადის 2—40 ნდ.

20 დღე ორშაბათი. ღირსისა მამისა დიდისა ევთიმი განდეგილისა. სომ. წმ. თეოდორე მეფისა, ყრმათა ეფესელ. კათოლ. ფაბიან სა და სებასტიანისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—51; ტფილისში მზე ამოდის 7—13. ჩადის 5—15. მთვარე ამოდის 6—4 დილ. ჩადის 3—51 ნდ.

* * *

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	2¼ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3½ »
მე-3 —	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	7 »
ღორის ხორცი 4-ლის ხარისხ.	5 »
2-ის ხარისხ.	4 »

განცხადებანი

ბ. ლიაძის
მოსამზადებელი სასწავლებელი
პანსიონითურთ.
კუკია, ანდრეევის ქუჩა № 13.
10—6)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1886 годъ
НА ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(Ш ГОДЪ ИЗДАНІЯ).
выходитъ ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

Газета въ 1886 году будетъ выходить подъ прежней редакціей, по прежней программѣ, при участіи тѣхъ-же сотрудниковъ.

подписная цѣна съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ	10 р. — к.	На 6 мѣсяцевъ	6 р. — к.
» 11 »	9 » 50 »	« 5 »	5 » 25 »
» 10 »	8 » 75 »	« 4 »	4 » 75 »
» 9 »	8 » — »	« 3 »	3 » 50 »
» 8 »	7 » 25 »	« 2 »	2 » 75 »
» 7 »	6 » 50 »	« 1 »	1 » 50 »

За границу на годъ 17 руб., на полгода 9 руб. 50 коп.

За перемѣну адресовъ уплачивается: иногороднаго на иногородный—40 к., городского на иногородный—1 руб.

Подписка принимается не иначе, какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія; на всѣхъ языкахъ, принимаются въ Тифлисѣ—въ конторѣ редакціи, при газетномъ агентствѣ Шавердова; въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“. Иногородные адресуютъ свои требованія въ г. Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при агентствѣ Шавердова.

Статьи и корреспонденціи адресуются въ Тифлисъ, въ редакцію «Новаго Обозрѣнія». Принятыя статьи могутъ подлежать сокращеніямъ и поправкамъ. Мелкія рукописи, размѣромъ не болѣе двухъ писанныхъ листовъ, не возвращаются. Прочія возвращаются по личнымъ требованіямъ авторовъ и сохраняются только въ теченіе одного мѣсяца. Ни въ какую переписку по поводу напечатанія или ненапечатанія присланныхъ статей редакція не входитъ. статьи, доставленныя бизъ опредѣленныхъ условіи гонорара, принимаются какъ безплатныя. Редакція открыта для личныхъ обясненій отъ часу до двухъ по полудни.

(9—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი
„ივერია“
1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც
ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით	10 მ. — კ.	6 თთვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50 »	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და ბრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.
პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 15 января 1886 года. ექვთიმე ხელაძის სტამბა, სასახლის ქუჩა, საკუთარ სახლში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.